ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-11/10-1000-24

"10" 06. 2024 წ.

დადგენილება №002390
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

10.06.2024წ. **ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7**

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ, ზაზა კვიციანმა, განვიხილე, 2024 წლის 7 ივნისის №002390 შემოწმების აქტი შედგენილი **შ.პ.ს. „ქეი ელ გრუპი"-ს** (ს/კ 404670272; მის.: ქ. თბლისი, კრწანისის ქუჩა №6) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, კრწანისის ქუჩა №6, №01.18.06.019.055 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შ.პ.ს. „ქეი ელ გრუპი"-ს მიერ, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 30 ოქტომბრის №6732848 ბრძანებით შეთანხმებული სანებართვო პირობების დარღვევით. დარღვეულია ბრძანების მე-3 ეტაპით - „ საყრდენი კედლების მოწყობა; შენობა ნაგებობების მიწის სამუშაოები:„ა-ო" ღერძებს შორის „11„ ღერძის გასწვრივ ბურღსატენი ხიმინჯების მოწყობა, „გ-ე" და „კ-მ" ღერძებს შორის „51„ ღერძის გასწვრივ ქვაბულის კედლის გამაგრება; შენობა-ნაგებობების ფუძის მოწყობის სამუშაოები; შენობა- ნაგებობების საძირკვლის მოწყობის სამუშაოები; ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე." – განსაზღვრული სამუშაოები. კერძოდ: **A ბლოკი: -6.20 ნიშნულზე** 3'-4' და „თ-ლ" მონაკვეთებში დამატებით მოწყობილია სართულშუა გადახურვის ფილა, კოლონებით და მონოლითური კედლით, რის გამოც დამატებით შექმნილია ფართი. „ა-ბ" და „2-3" მონაკვეთებში დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები, რის გამოც დამატებით შექმნილია ფართი. **C ბლოკი: -3.40 ნიშნულზე** „ლ-ლ" და „3'-3'" ღერძებზე გაუქმებულია მონოლითური კედლები. „ი-I" ღერძზე „3'-4'" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია მონოლითური კედელი და კოლონები, რის გამოც დამატებით შექმნილია ფართი. „1'-1'" და „ნ-ნ" ღერძების კვეთასთან დამატებით მოწყობილია კოლონა.

2024 წლის 7 ივნისს საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, მუნიციპალური ინსპექციის

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №002390 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ.” საქმეშია, მხარის მიერ 2024 წლის 25 მაისს წარმოდგენილი №10/01241451395-17 განცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. „ქეი ელ გრუპი”-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა” ქვეპუნქტის „ა.დ.” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, კრწანისის ქუჩა №6, №01.18.06.019.055 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შ.პ.ს. „ქეი ელ გრუპი”-ს მიერ, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 30 ოქტომბრის №6732848 ბრძანებით შეთანხმებული სანებართვო პირობების დარღვევით. დარღვეულია ბრძანების მე-3 ეტაპით - „ საყრდენი კედლების მოწყობა; შენობა ნაგებობების მიწის სამუშაოები:„ა-ო” ღერძებს შორის „11„ ღერძის გასწვრივ ბურღსატენი ხიმინჯების მოწყობა, „გ-ე” და „კ-მ” ღერძებს შორის „51„ ღერძის გასწვრივ ქვაბულის კედლის გამაგრება; შენობა-ნაგებობების ფუძის მოწყობის სამუშაოები; შენობა- ნაგებობების საძირკვლის მოწყობის სამუშაოები; ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე.” – განსაზღვრული სამუშაოები. კერძოდ: **A ბლოკი: -6.20 ნიშნულზე** 3’-4’ და „თ-ლ” მონაკვეთებში დამატებით მოწყობილია სართულშუა გადახურვის ფილა, კოლონებით და მონოლითური კედლით, რის გამოც დამატებით შექმნილია ფართი. „ა-ბ” და „2-3” მონაკვეთებში დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები, რის გამოც დამატებით შექმნილია ფართი. **C ბლოკი: -3.40 ნიშნულზე** „ლ-ლ” და „3’-3’” ღერძებზე გაუქმებულია მონოლითური კედლები. „ი-ი” ღერძზე „3’-4’” მონაკვეთში დამატებით მოწყობილია მონოლითური კედელი და კოლონები, რის გამოც დამატებით შექმნილია ფართი. „1’-1’” და „ნ-ნ” ღერძების კვეთასთან დამატებით მოწყობილია კოლონა.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ”, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ”, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა” ქვეპუნქტის „ა.დ.” ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. შ.პ.ს. „ქეი ელ გრუპი” დაჯარიმდეს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარით ქ. თბილისში, კრწანისის ქუჩა №6, №01.18.06.019.055 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 30 ოქტომბრის №6732848 ბრძანებით შეთანხმებული სანებართვო პირობების დარღვევით (დარღვეულია ბრძანების მე-3 ეტაპით - „ საყრდენი კედლების მოწყობა; შენობა ნაგებობების მიწის სამუშაოები:„ა-ო” ღერძებს შორის „11„

ღერძის გასწვრივ ბურღსატენი ხიმინჯების მოწყობა, „გ-ე” და „კ-მ” ღერძებს შორის „51„ ღერძის გასწვრივ ქვაბულის კედლის გამაგრება; შენობა-ნაგებობების ფუძის მოწყობის სამუშაოები; შენობა- ნაგებობების საძირკვლის მოწყობის სამუშაოები; ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე.” – განსაზღვრული სამუშაოები” – განსაზღვრული სამუშაოები), IV კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის.

2. შ.პ.ს. „ქეი ელ გრუპი”-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება**: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი**: სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შ.პ.ს. „ქეი ელ გრუპი”-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე **ზაზა კვიციანი**

საგადახდო დავალება N434

რეფერენსი

22267168057

გადამხდელის დასახელება: შპსქეი-ელ-გრუპი

ანგარიში (დებეტი) GE50BG0000000545803196

(ძველი ანგ.)

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი BAGAGE22

გადასახადის გადამხდელის დასახელება: შპსქეი-ელ-გრუპი

საიდენტ. კოდი 404670272

მიმღების დასახელება: ქ. თბილისი - შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი) 300773263

მიმღების ბანკი:
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი TRESGE22

გადახდის დანიშნულება: დადგენილება # 002390 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი ____________________

ბ.ა.

მთ. ბუღალტერი____________________

თანხა

15000-00

თანხა სიტყვებით

თხუთმეტი ათასი ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები

წარდგენის თარიღი: 11.06.2024

მიღების თარიღი: 11.06.2024

თუ საგადახდო დავალების შესრულების თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მისი შესრულება განხორციელდება, მომდევნო სამუშაო დღეს.

ხელმოწერა

შემსრულებელი

შესრულებულია ინტერნეტ ბანკით

შესრულებულია ინტერნეტ ბანკით